Tangodanza.de
/tangodanza.de

მილონგა კავკასიაში
ანუ
როგორც ჩავიდა ტანგო თბილისში

ლეგენდა ამბობს, რომ როდესაც ღმერთმა ხალხს საცხოვრებლად მიწები მისცა, ქართველებმა დაიგვიანეს და რადგანაც უკვე ყველაფერი დარიგებული იყო, ღმერთმა ქართველებს ის მიწა მისცა, რომელიც თავისთვის ჰქონდა განსაზღვრული. ასეთ ადგილას ტანგოც უნდა არსებობდეს...

...და არის კიდეც. მაგალითად, კვირას შუადღისას, ლინვილში, თბილისის ძველ უბანში, როცა ბოლოს და ბოლოს პატარა ძნელად შესამჩნევ კარს იპოვით, მის უკან გელოდებათ ვიწრო, უსწორმასწორო ხის კიბე. ვინც გაბედავს და ამ კიბეს აივლის, სიურპრიზი ელოდება. ახალგაზრდა წყვილმა ერთ დროს ტიპიური თბილისური ბინა შუშაბანდით, რომელიც ისევე როგორც სხვა მრავალი, ვაზის ტალავერით გადახურულ იტალიურ ეზოს გადაჰყურებს, დიდი სიყვარულით ორიგინალურ კაფედ გადააქცია.

ოთახებში მრავლადაა ძველი ნივთები, და ალბათ სწორედ ეს ქმნის იმ ატმოსფეროს, რაც მილონგას ორგანიზატორის, ლევან გომელაურის აზრით, შთააგონებს და მოცეკვავეებს შექმნან საინტერესო იმპროვიზაცია. სწორედ იმპროვიზაცია და ის ფაქტი, რომ უშუალოდ ცეკვის დროს ხდება შექმნა, იყო მთავარი, რითაც ტანგომ 25 წლის კომპოზიტორზე თავიდანვე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საინტერესო შემთხვევითობა

როგორ დაიწყო ყველაფერი? 2007 წელს, როდესაც მე საქართველოში ჩავედი, მართალია ერთ ქართულ მოთხრობაში წავაწყდი გურამ დოჩანაშვილის მიერ დეტალურად და პოეტურად აღწერას, ცეკვისა, რომელიც თითქოს ძველმოდურია და მისი ხსენება ზოგიერთში ღიმილსაც კი იწვევს, მარგამ თავად ტანგო თბილისში არსად იყო და არც მანამდე ყოფილა და მეც უკვე შეგუებული ვიყავი ამ ფაქტს, სანამ ნახევარი წლის შემდეგ შემთხვევით არ შევხვდი ნიკა ლომთაძეს. ასევე შემთხვევით ვახსენე საუბარში ტანგო და გაირკვა, რომ გერმანიაში სწავლის პერიოდში, მას დაუწყია ტანგოს ცეკვა არგენტინელ მასწავლებლებთან, შემდგომ კი გარკვეული დროის განმავლობაში თავად ასწავლიდა დორტმუნდში და ახლა საქართველოში დაბრუნების შემდეგ უნდოდა ეცადა თბილისში ჩამოეყალიბებინა ტანგოს სცენა. როდესაც მან მკითხა, ვცეკვავ თუ არა ტანგოს, საკმაოდ დამაჯერებლად ვუპასუხე, -კი, ცოტას - სინამდვილეში, საქართველოში წამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, მხოლოდ ერთ გაკვეთილზე და ერთ მილონგაზე ვიყავი ნამყოფი. ის რომ მე ტანგოს ცეკვა საერთოდ არ ვიცოდი, მეორე დღეს გამოჩნდა, როდესაც საცდელი ცეკვისთვის ერმანეთს შევხვდით. «კარგი», მითხრა მან, «მაშინ ისევ მე გასწავლი. ჯერჯერობით სხვა მსურველი მაინც არ მყავს.» და ასე ვიპოვე მასწავლებელი, რომელიც არა მხოლოდ მთელი სულითა და გულით ცეკვავდა ტანგოს, არამედ გადაწყვეტილი ჰქონდა ჩემთვის გადმოეცა ტანგო მთელი მისი სილმითა და შინაარსით, რისი სიტყვებით გადმოცემაც ძალიან ძნელია. «თუ ნამდვილად გინდა იცეკვო, ამას სერიოზულად უნდა მოეკიდო», მითხრა მან, «სულ უნდა იცეკვო, შენს გონებაში, თუნდაც როცა ქუჩაში მიდიხარ ან როცა გძინავს. და რაც მთავარია შენი ტანგო უნდა იპოვო, შენში, შიგნით.» ეს მე კარგად დავიმახსოვრე.

ოთხი თვის შემდეგ ერთი გერმანელის სახლში, რომელიც თბილისში მუშაობდა, შევიკრიბეთ რამდენიმე ადამიანი, რომელთაც ჩვენი ინფორმაციით მეტნაკლებად ტანგოსთან უკვე რაღაც შეხება უნდა ჰქონოდათ. უზარმაზარი წითელი ხავედის ფარდა გადავწიეთ და შევედით ტობიასის სახლში, მასპინძელს სტუმრებისთვის ბორში ჰქონდა მომზადებული. შვიდნი ვიყავით: სამი გერმანელი, ერთი რუსი, ერთი ამერიკელი და

ორი ქართველი. ცოტა ვისაუბრეთ და შემდეგ ვიცეკვეთ, უფრო სწორად მე არ მიცეკვია, რადგან ჩემს ბინაში, თბილისში, იმ საოცრად ცივ ზამთარში უკვე ორი დღე შუქი იყო გათიშული და სახლიდან გამოსვლისას სიბნელეში ორი სახვადასხვა საცეკვაო ფეხსაცმელი წამომელო. უკვე მომავალ კვირაში, თბილისში, პირველ მილონგას გავუკეთეთ ორგანიზება, რომელზეც ჩვენდა გასაკვირად თითქმის ასი ადამიანი მოვიდა, მათ შორის რამოდენიმე უცხოელი, რომელთაც უკვე ტანგოსთან შეხება ჰქონოდათ და ბევრი ისეთი, ვინც ჩემს მსგავსად, ტანგოს ძიებაში იყო. ასე დაიწყო ყველაფერი.

ქართული ცეკვა

ნიკას სურვილი იყო, რომ აქ, თბილისში, შეექმნა შესაძლებლობა ტანგოს ცეკვისა, ისევე, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია. «საქართველოს ასე დიდი ცეკვის კულტურა აქვს და მე მინდოდა, რომ ქართველებსაც გაეცნოთ ტანგო», ამბობს იგი. ცეკვის ტრადიცია მას ოჯახიდან მოსდევს, მისი მამა ქართული ცეკვების ცნობილი ქორეოგრაფია. ქართული ცეკვები მსოფლიოში ურთულეს ცეკვებს მიეკუთვნებიან. ნიკა ბავშვობიდან ცეკვავდა. პირდაპირი პარალელი ტანგოსა და ქართულ ცეკვებს შორის ძნელი გასავლებია, თუნდაც იმიტომ, რომ ქართულ ცეკვებში მამაკაცი ქალს თითქმის საერთოდ არ ეხება. ნიკა. მიუხედავად ამისა, მაინც ხედავს საერთოს და ძალიან მნიშვნელოვანს – «ცეკვისას ადამიანები ცდილობენ რაღაც გამოხატონ, გადმოსცენ, თუ ცეკვას ეს თან არ ახლავს, მაშინ იგი სპორტად იქცევა. გარდა ამისა, ქართულ ცეკვებში არის ელემენტები, რომელებიც ძალიან ჰგავს მილონგას მოძრაობებს. თავისუფლად შეიძლება ზოგი მათგანი მილონგას ცეკვისას იქნეს გამოყენებული.»

ქართული ცეკვები არ არის ისეთი მელანქოლიური როგორიც ტანგო, ალბათ უფრო თავად ქართველები. შინაგანი სევდა, რომელიც ტანგოს მუდამ თან ახლავს, ემიგრანტებისგან უნდა მოდიოდეს, რომლებმაც პირველებმა დაიწყეს ტანგოს ცეკვა ბუენოს-აირესში. ქართველი ემიგრანტებიც მრავლად არიან და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, სწორედ მათ იზიდავს ტანგო ყველაზე მეტად. ესენი არიან საქართველოში დაბრუნებულნი – როგორც ნიკა, ასევე სხვა მოცეკვავეები: ამირანი, ბაკური, სოსო ან ისეთები რომლებიც დრო და დრო უბრუნდებუან და კვლავ ტოვებენ საქართველოს. ერთ-ერთი მათგანი არის ლევან ურიდია, რომლის პირველი შეხვედრაც ტანგოსთან ჰოლანდიაში მოხდა და ამ შეხვედრამ «Salon de Plantage»-ში დაუვიწყარი მოგონებებით შეავსო მის მიერ საზღვარგარეთ გატარებული დრო. გარდა იმისა, რომ მისთვის ტანგო არის შესანიშნავი საშუალება გაიცნო ბევრი საინტერესო ადამიანი, ტანგომ ის მოხიბლა იმ განსაკუთრებული დამოკიდებულებით პარტნიორთან, რაც მოცეკვავეს საშუალებას აძლევს დაივიწყოს დრო და გარშემო მყოფი ადამიანები.

მესამე ემიგრანტი არის დავით გიორგაძე და მის მიერ ორანიზებული «Milonga - Tango Pasion» - კლასიკური მილონგა «დრესკოდით», სადაც ასევე დროდადრო ეწყობა გამოფენები და ჩაკარერას მასტერკლასები. დავითი ხელოვანია, რომელიც ჯერ კიდევ სანამ ცეკვას დაიწყებდა, ხატავდა ტანგოს. იგი რამოდენიმე თვით არგენტინაშიც იმყოფებოდა და მისი ინიციატივით არგენტინელი ტანგოს წყვილი პიბე სარანდი და კლაუდია ლომბარდი საქართველოს ესტუმრნენ. დავითი ახლა თავის არგენტინელ პარტნიორთან მარიანა ფერნანდესთან ერთად ასწავლის ტანგოს.

კიდევ ერთი, მილონგა, რომელიც თბილისში ტარდება არის მილონგა ლისის ტბაზე. ტრადიციული და ნუევო ტანდები, ხედი ლისის ტბაზე და შესაძლებლობაყოველი თვის მეორე პარასკევს იცეკვო ტანგო. მისი ორგანიზატორები არიან ეკა გობრონიძე და თამარ შვანგირაძე.

სტუმართმოყვარეობა

ნიკას და მის «თანამზრახველებს» ერთი რამ აქვთ საერთო – ისინი მილონგების ორგანიზებისას ქართული სტუმართმოყვარეობის ტრადიციის ერთგულნი რჩებიან. მათი აზრით კარგი მილონგა იმით შეიძლება შეფასდეს, თუ რამდენად კარგად გრძნობს თავს იქ მისული მოცეკვავე. მიუხედავად მისი საცეკვაო დონისა, არავინ არ უნდა იგრძნოს

თავი მარტო და სახლში დადებითი ემოციებით უნდა დაბრუნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ აქამდე მხოლოდ მამრობითი სქესის მოცეკვავეებზე იყო საუბარი, სწორედ ქალები წარმოადგენენ უმრავლესობას მილონგებზე – მამაკაცების ნაკლებობა ნამდვილად არის. ირმა შარიქაძე, ქართველი ფოტოგრაფი, ასევე ტანგოს მოცეკვავე, გაკვირვებას გამოთქვამს ამის შესახებ, რადგან ცეკვა, როგორც ის ამბობს, ოდითგანვე ქართველთა ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი იყო.

ფრანცისკა, პირველი მილონგას ერთერთი, თანაორგანიზატორი, სვამს კითხვას, «ხომ არ არის ამის მიზეზი სურვილი ყოველდღიურობაში შეუპოვარი ქართველი ქალისთვის მასთან იდგეს მეწყვილე, რომლიც ძალიან ფრთხილად, მაგრამ მყარად დაიჭერს მას ცეკვისას. და ხომ არ ეშინია ამაყ, სერიოზულ და ძლიერ ქართველი მამაკაცების უმრავლესობას საკუთარი გრძნობების ზედმეტად წარმოჩენა?». ნინოს, ასევე ტანგოს მოცეკვავეს, ელიმება – მისი აზრით ქალები და მამაკაცები თბილისში არ განსხვავდებიან დანარჩენებისგან მთელს მსოფლიოში, და შეიძლება სწორედ ამიტომაც არის ტანგო ყველგან ტანგო, მიუხედავად იმისა, თუ სად ცეკვავენ მას.

საქართველოდან წამოსვლამდე ნიკამ დადგა ტანგო-თეატრის საცდელი ვერსია, რომელშიც ტანგო სხვადასხვა ცეკვებს «ხვდებოდა». დადგმა მთავრდება სახალისო მინიშნებით – მოახდენს თუ არა საქართველო ოდესმე გავლენას ტანგოს განვითარებაზე საერთაშორისო მასშტაბით? ლევან ურიდია ამბობს: «მე ნიკას ვეთანხმები იმაში, რომ საქართველომ ჯერ თავისი თავი უნდა იპოვოს ტანგოში. როცა ჩვენ საკუთარ ეჭვებს მოვიშორებთ, ჩვენი ინდივიდუალობის და ჩვენი თავის ცეკვაში გამოხატვას ვისწავლით, მაშინ, ერთ დღესაც, იარსებებს არგენტინული ტანგო ქართული ორნამენტით.»

თუ გავიხსენებთ რა თქვა მიგელ ანხელ ზოტომ ტანგოს შესახებ – «ტანგო ახალგაზრდა ცეკვაა», მაშინ შეგვიძლია მხოლოდ ერთი რამ დავამატოთ – «განსაკუთრებით საქართველოში.»

სტატიის ავტორი: სუზანე კიმი
ქართულად თარგმნა ნიკა ლომთაძემ

ფოტო – ნიკა და სუზანე
ირმა შარიქაძის ფოტოპროექტი
გადაღებულია ჩვენს გერმანიაში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, როცა სუზანე ელისოზე იყო ფეხმძიმედ :) მარტი 2013 წელი.